სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში არსებული საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის წესის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 38-ე და 61-ე მუხლების, „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 21 ივლისის №342 დადგენილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ და ,,ი“ ქვეპუნქტების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურიდან საჯარო ინფორმაციის მიღებით დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის დაწესებული საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდა განხორციელდეს სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე, საბანკო დაწესებულების მეშვეობით.

2. სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური საჯარო ინფორმაციის ასლს გასცემს დაინტერესებული პირის მიერ საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდგომ.

3. 2017 წლის განმავლობაში, საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის გარეშე გაიცემა ის გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია, რომლის ასლის გადაღების მოსაკრებლის ოდენობა არ აღემატება 2,50 ლარს.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის შესახებ“ სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის 2016 წლის 6 იანვრის №1 ბრძანება.

5. ბრძანება ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან.

6. ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

სამსახურის დირექტორი **ვლადიმერ იმნაძე**